# [უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სასოფლო-სამეურნეო მიწის მემკვიდრეობით მიღების უფლება ექნებათ]



**უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სასოფლო-სამეურნეო მიწის მემკვიდრეობით მიღების უფლება ექნებათ. ამის შესახებ ჟურნალისტებს აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ განუცხადა, რომელიც ახალი ორგანული კანონის პროექტს არასამთავრობო ორგანიზაციებს აცნობს.**

*„უცხო ქვეყნის მოქალაქეს – ფიზიკურ პირს არ ექნება უფლება, შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, თუმცა მას იჯარის უფლება შეუზღუდავად ექნება. იურიდიული პირების შემთხვევაში, აუცილებლად დომინანტი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე ან ქართული სუბიექტი.*

*მემკვიდრეობის ნაწილში ჩვენ ვფიქრობთ, წავახალისოთ ეს მიმართულება და მთელი რიგი შეღავათებია დაწესებული. ასევე, მთავრობის დისკრეციის ნაწილში სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტების თვალსაზრისის რჩება ძალაში კანონპროექტი“, – აღნიშნა ოთარ დანელიამ.*

შარშან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიწის უცხოელებზე გაყიდვის მორატორიუმის გაუქმების ერთ-ერთი საფუძველი სწორედ მემკვიდრეობის საკითხი იყო.

*„ახალი კანონით ამ სუბიექტებს ეს პრობლემა არ შეექმნებათ“, –*

*განაცხადა ოთარ დანელიამ.*

1tv.ge